გაასწორეთ თქვენი მწკრივები, რადგან მწკრივის გასწორება ლოცვის სრულყოფილების ნაწილია

ანას იბნ მაალიქის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «გაასწორეთ თქვენი მწკრივები, რადგან მწკრივის გასწორება ლოცვის სრულყოფილების ნაწილია».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდებს მლოცველებს, რომ გაასწორონ თავიანთი მწკრივები, რათა არც ერთი მათგანი წინ არ წავიდეს და არც ჩამორჩეს. მწკრივების გასწორება ლოცვის სრულყოფილებისა და სისრულის ნაწილია, ხოლო მწკრივის არასწორი განლაგება ლოცვის ხარვეზსა და ნაკლოვანებას იწვევს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3031